

სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის სახელწოდება	სწავლების მეთოდები - Methods of Instruction
ავტორი (ავტორები)	ეთერ ღვინერია, ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ლექტორი (ლექტორები)	ეთერ ღვინერია, ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პედაგოგიკის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 1. საკონტაქტო ტელეფონი: (995 32) 223 14 96; (995) 577 57 52 55 eteri.gvineria@tsu.ge
სასწავლო კურსის კოდი	კოდის მინიჭება ხდება შესაბამისი ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ უნივერსიტეტში მოქმედი ერთიანი წესის შესაბამისად.
სასწავლო კურსის სტატუსი	1. საუნივერსიტეტო 2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა 3. სავალდებულო
სასწავლო კურსის მიზნები	სწავლების მეთოდების თეორიული საფუძვლების, ძირითადი მიზნების, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების წინამძღვრების, ამოცანების, წამყვანი პრინციპების, კომპონენტების და აღნიშნული მიდგომის პრაქტიკაში განხორციელების სტრატეგიების გაცნობა; შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბება.
კრედიტების რაოდენობა და სათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (ECTS)	5 კრედიტი = 125 სთ. სალექციო – 30 სთ ჯგუფური მუშაობა – 30 (მათ შორის შუალედური გამოცდის ჩატარების – 4 სთ – 2 სთ თითო შუალედურ გამოცდაზე) შუალედური გამოცდებისთვის მომზადება – 4-4 სთ (სულ 8) დასკვნითი გამოცდისთვის მომზადება – 9 დასკვნითი გამოცდის ჩაბარება – 3 სთ. ლექცია-სემინარებისთვის მომზადება – 45 სთ.

დაშვების წინაპირობები	წინაპირობის გარეშე
სწავლის შედეგები	<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს ცოდნას უმაღლეს სკოლაში სწავლების მეთოდების საფუძვლების, მიზნებისა და შედეგების შესახებ, რომლებიც სასწავლო პროცესში აღნიშნული სტრატეგიების წარმატებით გამოყენების შემთხვევაში მიიღწევა;</p> <p>უნდა ამჟღავნებდეს ცოდნას სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების არსის, წინამძღვრების, ძირითადი პრინციპებისა და კომპონენტების შესახებ.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> <p>სწავლების თანამედროვე სტრატეგიების პრაქტიკულად განხორციელება.</p> <p>სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მთავარი პრინციპებისა და კომპონენტების სასწავლო პროცესში დანერგვა;</p> <p>სწავლების ინტერაქტიური მეთოდების წარმატებით გამოყენება;</p> <p>დასკვნის უნარი</p> <p>სასწავლო აქტივობების ეფექტიანად დაგეგმვა/განხორციელება;</p> <p>საკუთარი სასწავლო საქმიანობის ანალიზი, შეფასება და შემდგომი დახვეწა.</p> <p>ღირებულებები</p> <p>სხვათა წვლილის დაფასება;</p> <p>სხვათა მიმართ კეთილგანწყობა და მათი მხარდაჭერა;</p> <p>გუნდური სულისკვეთების ჩამოყალიბება;</p> <p>პატივისცემა განსხვავებულობისადმი</p>
სასწავლო კურსის შინაარსი	დანართი
სწავლების/სწავლის მეთოდები	<p>სწავლების პროცესი წარიმართება სწავლების თანამედროვე სტრატეგიების გამოყენებით, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული მეთოდების პრაქტიკაში წარმატებით გამოყენებას . გამოყენებული იქნება:</p> <p>სწავლების ინტერაქტიური მეთოდები, თანამშრომლობითი, პრობლემური სწავლების</p>

შეფასების კრიტერიუმები	<p>მეთოდები.</p> <p>საკითხავი მასალის ცოდნა/სემინარზე გამოვლენილი ცოდნა-20%</p> <p>ლექციაზე და სემინარზე, დისკუსიებში ჩართულობა-20%</p> <p>წერილობითი დავალების შესრულება /კოლოკვიუმი 20%</p> <p>სპეციალობის მიხედვით შერჩეული კურსის სწავლების დეტალური გეგმა 10%</p> <p>დასკვნითი პროექტი (წერილობითი ნაწილი, პრეზენტაცია)-30%</p> <p>საბოლოო შეფასება -100%</p>
ძირითადი ლიტერატურა	<ol style="list-style-type: none"> 1. ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე, განვითარებისა და სწავლის თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი 2008 2. რ. ტყემალაძე, ნ. დალაქიშვილი, ქ. თოფაძე, თ. პაჭკორია, თ. ბუჩქაშვილი, სწავლება და შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი, 2008 3. ნ. ნიჟარაძე, ქ. მაკლეინი, ტ. ბოლი, ნ. გოგიჩაძე, თ. ლოდია, სასწავლო და პროფესიული გარემო, პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი, 2008 4. დ. ბეჭვია, ე. ღვინერია, თანამედროვე პედაგოგიური თეორიების ფილოსოფიური საფუძვლები, თბილისი, 2001 5. ეროვნული სასწავლო გეგმა 6. მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი 7. კანონი უმაღლესი განათლების შესახებ 8. პედაგოგიკა – თსუ, 1994 9. ი. ჭკუასელი პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბილისი, 1976 10. S. D. Powel (2009) An introduction to Education, Pearson, Upper Saddle River, New Jersey, Columbus, Ohio, ახლავს (შესაბამისი ვიდეო მასალა, რომელიც ნაჩვენებია და განხილული იქნება ლექცია სემინარების მსვლელობის დროს) 11. Donald Kauchak, Paul Eggen, Introduction to Teaching, Upper Saddle River, New Jersey, Columbus, Ohio, ახლავს (შესაბამისი ვიდეო მასალა, რომელიც ნაჩვენებია და განხილული იქნება ლექცია სემინარების მსვლელობის

¹ ეს მხოლოდ მაგალითია. შეფასების პროცენტული განაწილება ყოველი სასწავლო კურსისათვის ინდივიდუალურად უნდა იქნეს მოცემული კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

	<p>დროს)</p> <p>12. David G. Armstrong, Kenneth T Henson, Tom V Savage Teaching Today, Upper Saddle River, New Jersey, Columbus, Ohio, ახლავს (შესაბამისი ვიდეო მასალა, რომელიც ნაჩვენები და განხილული იქნება ლექცია სემინარების მსვლელობის დროს)</p> <p>13. Eric Jensen, Super Teaching, The brain Store, inc., San Diego, California</p> <p>14. Mel Silberman, Karen Lawson, 101 Ways to make training Active, Jossey-Bass, Pfeiffer, San Francisco.</p> <p>15. Richard Paul, Linda Edler Critical Thinkoing (Concepts and Tools) Foundation for Critical Thinking Press, 2009 pp 1-23</p> <p>www.criticalthinking.org</p>
<p>დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</p>	<p>წიგნი, სამეცნიერო სტატია, ელექტრონული რესურსი, ვებ-გვერდი და ა.შ.</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ე. ღვინერია, მ. შონია – ტრადიციონალიზმისა და კონსერვატიზმის დამცველი განათლების თეორიები, “საზრისი” #19 2005, თბილისი 2. ე. ღვინერია, მ. შონია – პროგრესივიზმი და ჰუმანიზმი არაავტორიტარული განათლების თეორიები, “ინტელექტი” #3, 2005. თბილისი 3. ე. ღვინერია, მ. შონია - პროგრესივიზმი – მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების თეორია, “მოამბე” #8, 2005, თბილისი 4. ე. ღვინერია, მ. ჯაფარიძე – კონსტრუქტივიზმი, როგორც რეფორმის მეთოდოლოგია, “პრომეთე” # 6, 2005, თბილისი <p>შესაბამისი ვებ გვერდები დამოუკიდებელი მუშაობისა და დისკუსიისათვის</p>
<p>დამატებითი ინფორმაცია/პირობები</p>	

სასწავლო კურსის შინაარსი

N	თემა (ლექცია/სამუშაო ჯგუფი/პრაქტიკული, ლაბორატორიული სამუშაო და ა.შ.)	სასწავლო მასალა
1	კურსის ძირითადი მოთხოვნების გაცნობა; უმაღლესი განათლების მიზნები XXI საუკუნეში – ინტელექტუალური და პიროვნული განვითარება – ახლებური ხედვა; ზოგადი, დარგობრივი, სისტემური, წარმატებული კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და ურთიერთობებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების / კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნები და აუცილებლობა, მათი კლასიფიკაცია და დახასიათება.	Julia Gonzalez, Robert Wagenaar. Tuning Educational Structures in Europe. 2008. Bilbao. pp 25-33; pp 9-24
2	სასწავლო პროცესის ახლებური გააზრება, პარადიგმის ცვლილება - სწავლებისა და სწავლის მოდელების შეპირისპირებითი ანალიზი.; სწავლის არსი, სწავლის პარადიგმის მიზნები და შედეგები;	David G. Armstrong, Kenneth T Henson, Tom V Savage Teaching Today, Upper Saddle River, New Jersey, Columbus, Ohio, ახლავს (შესაბამისი ვიდეო მასალა, რომელიც ნაჩვენებია და განხილული იქნება ლექცია სემინარების მსვლელობის დროს) გვ.13-19
3	შეცვლილი როლები და ურთიერთობები სასწავლო პროცესში- სტუდენტისა და მასწავლებლის როლი, მასწავლებლის როლის ახლებური გააზრება და მისი მნიშვნელობა სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის პრაქტიკული განხორციელების პროცესში	მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი
4	სპეციფიური სასწავლო გარემოს მახასიათებლები და დანიშნულება სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაში.	ნ. ნიჟარაძე, ქ. მაკლეინი, ტ. ბოლი, ნ. გოგიჩაძე, თ. ლოდია, სასწავლო და პროფესიული გარემო, პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი, 2008 გვ. 3-12
5	განვითარებისა და სწავლის თეორიები მათი დახასიათება და შეპირისპირება <ul style="list-style-type: none"> • ბიჰევიორისტული თეორია • კოგნიტივისტური თეორია • კონსტრუქტივისტული თეორია 	ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე, განვითარებისა და სწავლის თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი 2008 გვ.71-91 გვ. 107-119
6	ფილოსოფიური მიმდინარეობები (იდეალიზმი, რეალიზმი, პრაგმატიზმი, ეგზისტენციალიზმი) და განათლების თეორიები) <ul style="list-style-type: none"> • პერენიალიზმი • ესენციალიზმი • პროგრესივიზმი 	დ. ბეჭვაია, ე. ღვინერია, თანამედროვე პედაგოგიური თეორიების ფილოსოფიური საფუძვლები, თბილისი, 2001 გვ.10-80 პედაგოგიკა – თსუ, 1994 გვ.

	<ul style="list-style-type: none"> • რეკონსტრუქციონიზმი • ჰუმანიზმი 	
7	სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდოლოგიის წინამძღვრები და თეორიული საფუძვლები და მახასიათებლები	ი. ჭკუასელი პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბილისი, 1976 გვ. 20-43 პედაგოგიკა – თსუ, 1994 გვ. 10-16
8	სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ძირითადი პრინციპები, და აღზრდის ობიექტური კანონზომიერებების ახლებური გააზრების აუცილებლობა. მატერიალური და ფორმალური განათლების თეორიები. ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება და სწავლების ინდივიდუალიზაცია (განვითარების დონის შესაბამისობის პრინციპი)	ი. ჭკუასელი პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბილისი, 1976 გვ. 91-111 (102)
9	სწავლების სხვადასხვა სტრატეგიების მიმოხილვა; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების ძირითადი მეთოდები და მათი დახასიათება (ინტერაქტიური სწავლების მეთოდები, თანამშრომლობითი სწავლა); მეტაკოგნიცია, კოგნიცია და მისი სოციალური ასპექტის მნიშვნელობა. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების როლი მოტივაციის ჩამოყალიბებაში	ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე, განვითარებისა და სწავლის თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი 2008 გვ. 119-134 რ. ტყემალაძე, ნ. დალაქიშვილი, ქ. თოფაძე, თ. პაჭკორია, თ. ბუწაშვილი, სწავლება და შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი, 2008 გვ. 3-30 Mel Silberman, Karen Lawson, 101 Ways to make training Active, Jossey-Bass, Pfeiffer, San Francisco.
10	არასწორხაზოვანი სწავლება მისი ძირითადი პრინციპები და მიზნები. სწავლის მრავალგანზომილებიანი და დინამიური ხასიათი; სასწავლო მიდგომების მრავალფეროვნება სასურველი შედეგის მისაღწევად, სწავლის ციკლური ხასიათი და სასწავლო შედეგების ეფექტიანობის ხელისშემწყობი ფაქტორები, შეფასების მიმდინარე ხასიათი და მისი საფეხურები.	Donald Kauchak, Paul Eggen, Introduction to Teaching, Upper Saddle River, New Jersey, Columbus, Ohio, ახლავს (შესაბამისი ვიდეო მასალა, რომელიც ნაჩვენებია და განხილული იქნება ლექცია სემინარების მსვლელობის დროს)
11	სწავლის სხვადასხვა სტილი და მრავალმხრივი ინტელექტის თეორია, სწავლების დიფერენციაცია	ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე, განვითარებისა და სწავლის თეორიები,

		მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი 2008. გვ.134-145
12	კრიტიკული აზროვნება, მისი სარგებლიანობის დასაბუთება და აღნიშნული უნარ-ჩვევის ჩამოყალიბების გზები და საფეხურები; მისი გათვალისწინება და პრაქტიკული გამოყენება სხვადასხვა დისციპლინის სწავლების პროცესში. საკითხის არსის წვდომა, სხვადასხვა პერსპექტივის განხილვა, ორგანიზებული დისკუსია, კითხვების გენერირება და დამოუკიდებელი აზროვნების სტიმულირება.	Richard Paul, Linda Edler Critical Thinkoing (Concepts and Tools) Foundation for Critical Thinking Press,2009 www.criticalthinking.org pp 1-23
13	პრობლემური სწავლება - პრობლემის იდენტიფიცირების, გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღების როლი სწავლების პროცესში	S. D. Powel (2009) An introduction to Education, Pearson,Upper Saddle River, New Jersey, Columbus, Ohio, ახლავს (შესაბამისი ვიდეო მასალა, რომელიც ნაჩვენებია და განხილული იქნება ლექცია სემინარების მსვლელობის დროს) gv 123-133
14	სწავლება კითხვების დასმის მეთოდით მიზნები და შედეგები (სოკრატეს მეთოდი). კითხვები ინტერპრეტაციისათვის, კითხვების დასმა, დისკუსია გაძღოლის მეთოდით; სოკრატისეული დისკუსიის სქემა და კითხვების სპეციფიკა. აზროვნების პროცესის აუცილებელი კომპონენტები (“აზროვნების ენა”); დისკუსიის ხელისშემშლელი ფაქტორები.	ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე, განვითარებისა და სწავლის თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი 2008 გვ 201-208
15	შეფასების სახეები - ნორმაზე ორიენტირებული, კრიტერიუმზე ორიენტირებული, პიროვნებაზე ორიენტირებული შეფასება, მათი დახასიათება. შეფასების სპეციფიკა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პროცესში.	რ. ტყემალაძე, ნ. დალაქიშვილი, ქ. თოფაძე, თ. პაჭკორია, თ. ბუწაშვილი, სწავლება და შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი, 2008 გვ.73-124